ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

წერილი № 2725881

გაცემის თარიღი: 22/07/2016 გაცნობის თარიღი: 22/07/2016

განცხადების ნომერი: AR1401066

შემოსვლის თარიღი: 03/05/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 81.02.11.977
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი შინდისი
- ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 250.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "შინდისის სახლი" (404463709)

- საკადასტრო კოდი: 81.02.11.978
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი შინდისი
- ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 246.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "შინდისის სახლი" (404463709)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- მადონა ზურიკაშვილი პ/ნ 14001003046
- მისამართი: თბილისი III მასივი ზემო პლატო კორ. 27 ბ. 23

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

წერილი

თქვენი AR1401066 (03.05.2016წ.) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების საკითხი თანდართული უფლებრივი ზონირების რუკით განსახილველად გადაგზავნილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომლის 2016 წლის 8 ივლისის N182 განკარგულებით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნულ N182 (08.07.2016წ.) განკარგულებას და უფლებრივი ზონირების რუკას.

დანართი: განკარგულება N182 (08.07.2016წ.), უფლებრივი ზონირების რუკა.

კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 182

"8" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 17 მაისის №25 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 24 ივნისის №04/11637 წერილის (AR1401066) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1401066 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


საცხოვრებელი კომპლექსი ვინდისში
პანაშენიანების რეგულირების გეგმა, კორექტირება
უფლებრივი და ზონირების რუკა
1.01
2016
0 10 m 20 m
N